

შპს „დორანი-ფერმა“

2020 წლის ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019	
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	6987	22467	5834	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	56031	43141	21734	
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	29690	4474	227143	
მარაგები	114135	110737	91121	3.2
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა მარაგი	114135	110737	91121	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	113589	118901	68064	3.3
ბიოლოგიური აქტივები	883402	894103	672485	3.4
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით	674002	775703	672485	
- გადაფასების მოდელით	209400	118400		
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	335	350	3623	
ძირითადი საშუალებები	868180	938268	923024	3.5
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	2072349	2132441	2013028	
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	179390	117640	100880	
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		1		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	6860			
საგადასახადო ვალდებულებები		31226		
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები				
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	377000	364740	361139	3.6
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1780940	1762081	1917070	3.7
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები		93078	16584	
სულ ვალდებულებები	2344190	2368766	2395673	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	-271841	-236325	-382645	
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
მ.შ. - არამაკონტროლებელი წილი				
სულ საკუთარი კაპიტალი	-271841	-236325	-382645	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2072349	2132441	2013028	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2021 წ.

დირექტორები: _____ მ. წილოსანი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საქმიანობის შედეგები

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2020	2019	
ნეტო ამონაგები	1122396	2305599	3.8
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	1106795	1072142	
- მომსახურების გაწევიდან	15601	1233457	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-1106795	-1089581	3.8
საერთო მოგება	15601	1216018	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	1199795	117163	3.9
დასაქმებულთა ანაზღაურება	-107495	-109057	
ცვეთა და ამორტიზაცია	-96264	-93759	
საპროცენტო შემოსავალი			3.10
საპროცენტო ხარჯი	-178811	-192279	
იჯარის ხარჯი	-35069	-20861	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-655230	-735624	
სულ საოპერაციო ხარჯები	126926	-1034417	
საოპერაციო მოგება	142527	181601	
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების	-83175		
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	-169097	-35281	
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	86177		
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	-23568	146320	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	-23568	146320	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-23568	146320	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-236325	-382645	3.11
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-11948		
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-271841	-236325	3.11

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2021 წ.

დირექტორები: _____ მ.წილოსანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "დორანი ფერმა"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	394684	588123
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-18959	-105729
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-391209	-465768
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-15484	16626
სავალუტო კურსის ეფექტი	4	7
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	22467	5834
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	6987	22467

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2021 წ.

დირექტორები: _____

მ. წილოსანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

**2020 წლის ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები**

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „დორანი-ფერმა“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2015 წლის 30 იანვარს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 424613154, იურიდიული მისამართი - საქართველო, ახმეტა, ორბელიანის ქ., N8.

კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის ერთადერთი 100%-იანი წილის მფლობელია შპს დორანი (ს.კ. 202245490).

კომპანიის დირექტორია მამუკა წილოსანი (პ.ნ. 01007004710).

1.3. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება და მისგან მიღებული რძის რეალიზაცია საქართველოს ბაზარზე.

კომპანიის დამატებით (არაძირითად) ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რეალიზაცია.

1.4. კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს კომერციულ საქმიანობას მიმდევარი შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.5. კომპანიის დასაქმებულ თანამშრომელთა საშუალო რიცხვი 2020 წელს შეადგენდა 8 კაცს.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება და შედეგების ასახვა ხდება პერსპექტიულად, ანუ იმ პერიოდში, როდესაც მოხდა სააღრიცხვო შეფასების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება (მათ შორის, 3 წლამდე ნაკლებ ვადაში).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2020 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2020 წელს: 1 USD=3.0937 ლარი; 1 EUR=3.5395 ლარი.

2019 წელს: 1 USD=2.8192 ლარი; 1 EUR=3.1553 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
ნაღდი ფული ლარებში	5353	198
ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	1605	22244
აშშ დოლარები ადგილობრივ ბანკებში	30	26
ევროები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	0	0
სულ:	6987	22467

3.2. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
რქოსანი პირუტყვის მოვლისათვის საჭირო ხარჯვადი მარაგები	114135	110737
სულ:	114135	110737

3.3. სხვა მიმდინარე აქტივები:

ამ მუხლში დათვლილია სალდირებულად ბუჯეტთან ანგარიშსწორება და ეს ფირმისთვის წარმოადგენს აქტივს, რაც გამოწვეულია შესყიდვებიდან წარმოქმნილი დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლებით.

3.4. ბიოლოგიური აქტივები:

ბიოლოგიურ აქტივებს წარმოადგენს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომელიც არის შესყიდული და თვითონ ფერმაზე ბუნებრივი ნამატი. პირველი შემთხვევა აღირცხულია თვითღირებულების მოდელით, ხოლო მეორე - გადაფასების მოდელით.

3.5. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	2020 წელი ზრდა ან შემცირება	2020 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	2019 წელი ზრდა ან შემცირება	2019 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 01.01.2019 მდგომარეობით
მატანი კოდი 11, კვ. 40, ნაკვ. #124	19200			19200			19200
დაუმთავრებელი მშენებლობა	1300	-9315		10615	-5195		15810
ექსპლუატაციაში არ შესული	0	-16940		16940			16940
მიმოსვლის გზები	643		27	670	686	16	
შენობები	441216		21744	462960		21744	484705
ნაგებობები	215441	11176	9449	213714	1888	9340	221166
მანქანა- დანადგარები	18609		13997	32606	1308	13917	45214
ელექტრომრავლები და დიზელ- გენერატორები	11431	3042	1887	10276		1574	11850
ელექტროგადამცემის საშუალებები	7535		1331	8866		1331	10198
ძალოვანი მანქანები და მოწყობილობები	7467		1073	8540	5553	1069	4056
სასოფლო- სამეურნეო მარაგები	14823	16940	2118				
სამშენებლო მოწყობილობები	1083		250	1333		250	1583
ოფისის აღჭურვილობა, კომპ.	98	102	3				
ელექტრონული მოწყობილობები	1157	1263	105				
ავეჯი	5222	4558	544	1209		169	1377
ინვენტარი	6812	2435	2112	6489	4706	1262	3045
სპეციალური ინსტრუმენტები	1632	1593	356	395	432	37	
მსუბუქი ავტომობილები	71831		23820	95652	90692	11221	16181
ავტოსატრანსპორტო ტექნიკა გზებზე გამოსაყენლად	25459		12619	38077		20682	58759
სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	17151	11307	2560	8404	3692	1452	6164
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	70		2253	2324	1969	6421	6776
სულ:	868180	26161	96249	938268	105730	90486	923024

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

3.6. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები:

აღნიშნული მუხლი მოიცავს ბანკისგან აღებულ გრძელვადიანი აგროსესხის მიმდინარე ნაწილს.

3.7. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები:

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები მოიცავს ბანკისგან აღებულ აგრო სესხს 152 748 ლარს და ასევე ფიზ პირებისგან აღებულ სესხებს.

3.8. ნეტო ამონაგები:

2019-2020 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები თითქმის მთლიანად შედგებოდა რძისა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებისაგან.

3.9. სხვა საოპერაციო შემოსავალი:

აღნიშნული მუხლი მოიცავს სოფლის მეურნეობის ბუნებრივ ნამატს - რძესა და მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს.

3.10. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გარდა სხვა მუხლებში განცალკევებულად ასახული შრომის ანაზღაურების, იჯარის, პროცენტების, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა):

	2020 წელი
პირუტყვის მოვლაზე გახარჯული მარაგები	576450
საღარო აპარატის ხარჯი	51
რძის ლაბ. ანალიზის ხარჯი	127
მცირეფასიანი საოფისე ინვენტარის ხარჯები	461
ელექტროენერგიის ხარჯი	11986
საკანცელარიო ხარჯები	10
კომპიუტერის ხარჯები	38
კომუნიკაციის ხარჯები	1242
საწვავის ხარჯები	13831
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	11186
საგადასახადო ხარჯები	9893
საბანკო ხარჯები	1227
ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები	21637
საწევრო გადასახადი მერძევეობის ასოციაციის	5944
სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები (სამეურნეო)	1145
სულ:	655230

3.11. საკუთარი კაპიტალი:

2020 წლის ბოლოს დაუფარავმა ზარალმა შეადგინა 271841 ლარი.

3.12. სასამართლო დავები:

კომპანიას 2020 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი სახის სასამართლო დავები არ ჰქონდა.

3.13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020-2021 წლებში ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენას: მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. ეს ვითარება გაგრძელდა 2021 წელსაც. 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის, პანდემია დამარცხებული არ არის.

ამის მიუხედავად, კომპანიას არსებითი სახის ფინანსური სირთულეები არ შექმნია და კომპანია უწყვეტ და ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებდა ფუნქციონირებას.

2021 წლის 1 იანვრიდან 25 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2021 წლის 25 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.


შპს "დორანი-ფერმა"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019	
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	6987	22467	5834	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	56031	43141	21734	
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	29690	4474	227143	
მარაგები	114135	110737	91121	3.2
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა მარაგი	114135	110737	91121	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	113589	118901	68064	3.3
ბიოლოგიური აქტივები	883402	894103	672485	3.4
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით	674002	775703	672485	
- გადაფასების მოდელით	209400	118400		
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	335	350	3623	
ძირითადი საშუალებები	868180	938268	923024	3.5
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	2072349	2132441	2013028	
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	179390	117640	100880	
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		1		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	6860			
საგადასახადო ვალდებულებები		31226		
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები				
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	377000	364740	361139	3.6
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1780940	1762081	1917070	3.7
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები		93078	16584	
სულ ვალდებულებები	2344190	2368766	2395673	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	-271841	-236325	-382645	
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
მ.შ. - არამაკონტროლებელი წილი				
სულ საკუთარი კაპიტალი	-271841	-236325	-382645	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2072349	2132441	2013028	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2021 წ.

დირექტორები:  მ. ჩელოსანი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.


შპს "დორანი ფერმა"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	394684	588123
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-18959	-105729
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-391209	-465768
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-15484	16626
სავალუტო კურსის ეფექტი	4	7
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	22467	5834
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	6987	22467

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2021 წ.

დირექტორები:  _____

მ. წილოსანი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "დორაზი-ფერმა"

საქმიანობის შედეგები

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2020	2019	
ნეტო ამონაგები	1122396	2305599	3.8
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	1106795	1072142	
- მომსახურების გაწევიდან	15601	1233457	
- სამშენებლო ხელშეკრულებიდან			
- სხვა ამონაგები			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-1106795	-1089581	3.8
საერთო მოგება	15601	1216018	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	1199795	117163	3.9
დასაქმებულთა ანაზღაურება	-107495	-109057	
ცვეთა და ამორტიზაცია	-96264	-93759	
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი	-178811	-192279	
იჯარის ხარჯი	-35069	-20861	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-655230	-735624	3.10
სულ საოპერაციო ხარჯები	126926	-1034417	
საოპერაციო მოგება	142527	181601	
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების	-83175		
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	-169097	-35281	
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	86177		
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	-23568	146320	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	-23568	146320	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			
მირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-23568	146320	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-236325	-382645	3.11
ახალი აქტივების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-11948		
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-271841	-236325	3.11

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2021 წ.

დირექტორები: _____

მ. წილოსანი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.